1877—1894

№ 44

პარასკევი, 25 თებერვალი 1894

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

№ 44

პარასკევი, 25 თებერვალი 1894

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 1 მარტს.**

## ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მმართველობისაგან.

**ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მმართველობა** აუწყებს თავის წევრთ, რომ კვირას, 27 მარტს ამა 1894 წელს დანიშნულია საზოგადო კრება წევრთა, დილის 10 საათზედ ფოთის საქალაქო გამგეობის სადგურში.

განსახილველად დანიშნულია:

1. განხილვა და დამტკიცება 1893 წლის ანგარიშისა.
2. დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1894 წლისათვის.
3. არჩევანი მმართველობის თავმჯდომარისა სამის წლის ვადით იმის მაგიერ, რომელმაც თავისი ვადა სამსახურისა უკვე შეასრულა.
4. არჩევანი სამის დეპუტატისა იმათ მაგიერ, რომელთაც ვადა სამსახურისა შეასრულეს და თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას.
5. არჩევანი სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის სამის კანდიდატისა.

მმართველობა საზოგადოებისა სთხოვს ბბ-ნთ წევრთ, რომელთაც რწმუნების ქაღალდები აქვთ კენჭის ყრაში მონაწილეობის მისაღებად საზოგადო კრებაზედ, საზოგადოების წესდების მე-36§-ის ძალით, წარმოუდგინონ იგი რწმუნების ქაღალდები მმართველობას სამის დღის წინად საზოგადო კრების დაწყებამდე, ესე იგი, ამ წლის 24 მარტზედ არა უგვიანეს.

(3—3)

**კავკასიის სამეურნეო საიმპერატორო**

საზოგადოებისაგან

კვირას, 27 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზედ დანიშნულია

წლიური საზოგადო კრება

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო

საზოგადოების წევრთა

საგნები განხილვისა:

1 ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა $189^2/_3$ წლისა.

2 ანგარიში ტფილისის საბაღოსნო სკოლის მოქმედებისა $189^2/_3$ წლისა.

3 მოხსენება ა. ს. ფირალოვისა «ამიერ-კავკასიის მეურნეობის სტატიკის შესახებ.»

4 მოხსენება ს. ნ. ტიმოფეევსა: „ხვნა-თესვა და მრეწველობა“.

5 მოხსენება ნ. პ. ტარატინოვსა «მნიშვნელობა თეორიისა და პრაქტიკისა მეურნეობაში».

არა—წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

(1—1)

## ტფილისი, 25 თებერვალს

—

ბევრჯელ გვქონია საუბარი „ივერიის“ მკითხველთან მამულის სიმცირის გამო ჩვენს ქვეყანაში[1]) და დღესაც უნებლიედ ამ საგანს უნდა დავუბრუნდეთ, რადგან ბევრს არა სჯერა, რომ ჩვენში მამული ნაკლებად არის და არა თუ მოჭარბებული არა გვაქვს-რა, არამედ ამ ათი თხუთმეტ წლის შემდეგ, ხალხის გამრავლების გამო, დიდს გაჭირვებაში ჩავცვივდებით, თუ აქაურმა მხვნელ-მთესველმა, ხვნა-თესვის გარდა, სხვა არა იღონა-რა საცხოვრებლად.

ოფიციალურად შემოწმებულია, რომ ტფილისის გუბერნიის დროებით-ვალდებულ გლეხობას მიეზომა კომლზედ სამი და ცხრა მეათედი დესეტინასი, ანუ კომლზე რომ ოთხი სული ვიანგარიშოთ, როგორც თვით მთავრობა ანგარიშობს, თითო სულს შეხვდება ერთ დესეტინაზე ცოტა ნაკლები[2]). ოც-და-რვა წელიწადი გავიდა გლეხების განთავისუფლების შემდეგ, ხალხი, გამრავლდა, ერთი ორად იქცა, და მაშასადამე, ეხლა სულზე დღიურზე მეტი მამული არ მოვა. ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს მამული არ მიეცა 1334 კომლსა, 110 კომლიც ბოგანო იყო. ღმერთმა უწყის რითი ირჩენს თავსა ეს ამოდენა უსახლკარო და უმამულო ხალხი!

თითო კომლ ხიზანზე მოდის მამული ხუთი დესეტინა და სახელმწიფო კაცის ოჯახზე—17 დესეტინა. უკანასკნელი ციფირი ნურავის გააკვირვებს, რადგან ამ რიცხვში ჩათვლილია სათიბიც, საძოვარიც და უვარგისი მამულიც, რომელიც ასე ბლომად მოიპოვება ჩვენს კურთხეულ მთა-გორიან ქვეყანაში. იალბუზის და მყინვარის წვეროები და ციცაბონი თუ მიუზომე სარჩენად მხვნელ-მთესველს, რა თქმა უნდა, ბევრს ვერას გამორჩება ადამიანი.

არც თავად-აზნაურობაა ჩვენში მრავალ მამულიანი. იმავე სტატისტიკური ცნობებიდან სჩანს, რომ, ორთა შუა რიცხვით, თითო სულზე მოდის ტფილისის გუბერნიაში 38 დესეტინა და ქუთაისისაში—16 დესეტინა. აი სულ ამ ჩვენ კეთილშობილთა ავლა-დიდება. ცხადია, რაკი თავად-აზნაურსაც მამული ნაკლებად აქვს, იაფად ვერ გასცემს მამულს იჯარით და, მაშასადამე, ჩვენებური გლეხი ამის გამოც არის შევიწროებული. ამ წოდებას რომ უხვად მოეპოვებოდეს სახნავ-სათესი, არც ასე შევიწროებული იქმნებოდა.

ქუთაისის გუბერნიის მკვიდრის მცირე მამულიანობა ხომ საარაკოდ გახდა და ამას ბევრი ძიება და კვლევა არ ეჭირვება. გადაშალეთ ზემოდ დასახელებულ წიგნის ოც-და-მესამე და ოც-და-მეშვიდე გვერდი და განსაცვიფრებელ და დაუჯერებელ ციფირებს შეხვდებით. მაგალითებრ, დესეტინა, ორთა შუა რიცხვით, ლეჩხუმის მაზრაში იყიდება 65 მანეთად, სენაკის მაზრაში—115 მანეთად, ქუთაისისაში—160 მანეთად და რაჭის მაზრაში—830 მანეთად!

ეს კიდევ არაფერი. 1884 წელს რაჭაში დესეტინა, ორთა შუა რიცხვით, იყიდებოდა 985 მანეთად, შორაპნის მაზრაში 1885 წ.—401 მ., ქუთაისისაში—250 მ., ლეჩხუმისაში—311 მ., ზუგდიდისაში—246 მ. და სენაკისაში—293 მანეთად. ცალ-ცალ ნაჭრობით ხომ ისეთი ფასია გაღებული მამულში ზოგან, რომ ამაზე ძვირად ის ადგილიც აღარ ეღირება, რომელზედაც მოთავსებულია გაზეთი „Недѣля“-ს რედაქცია, რომელმაც ისეთის რიხით გამოილაშქრა ა. ხახანაშვილის აზრის წინააღმდეგ.

აი მაგალითები: სოფელ ხიმში, რაჭაში, ქცევა გაყიდულა 1500 მანეთად, ონში, ნაჭერი მიწისა, ზომით 50 ოთხ-კუთხი საჟენი—800 მანეთად, ონშივე 254 ოთხკუთხი საჟენი გაყიდულა 2000 მანეთად. სენაკის მაზრის ს. სუნჯაში თვრამეტი ოთხ-კუთხი საჟენი გაყიდულა 1260 მანეთად, სოფელ თეკლათში ერთი დესეტინა და 1362 ოთხ-კუთხი საჟ.—1000 მანეთად, კულაშში 176 ოთხ-კუთხი საჟ.—500 მანეთად და სხვა.

ეს უსიტყო ციფირები, ვგონებთ, განმარტებას აღარ საჭიროებს და ცხადად ჰღაღადებს, რა სიმცირე და ნაკლებობაა ჩვენში მამულისა.

მამულის ფასი არც ტფილისის გუბერნიაშია მცირე. სახაზინო მამული გაყიდულა თელავის მაზრაში დესეტინა 60 მ., ყარაიაზში—55 მან., დუშეთისაში—150 მ., გორისაში—220 მან. და ტფილისის მაზრაში სახლ-კარის მამულს აუწევია 1400 მან.[3]).

[1]) იხ. „ივერია“ 1893 წ. № 77, 81 და 97.

[2]) იხ. Сводъ стат. данн. о землевладѣніи въ Тиф. и Кут. губ. 1893 г. стр. 12, 9, 8, 23.

[3]) იხ. იგივე წიგნი, გვ. 26.

# ფელეტონი

—

### თეატრის მატიანე

ხ ა ფ ა ნ გ ი, დრამა ოთხს მოქმედებად, თხზ. მეველესი.

სამწუხაროდ, ჩვენი მატიანე ბოდიშით უნდა დავიწყოთ, რომ აქამდე ვერ მოვახერხეთ და მხოლოდ ეხლა შევიძელით დაპირებულის შესრულება, თუმცა, ჯერ ერთი, ამ მხრივ ის გვიხდის ბოდიშს, რომ, სულ არარაობას, დაგვიანებით შესრულება სჯობია და მეორეც—ჩვენის აზრით, სწორედ მოგახსენოთ, ახირებულია ის სურვილი, რომ სასცენო ნაწარმოები, პიესა წარმოდგენისათანავე გაირჩეს და თეატრის მემატიანემ მაშინვე თავისი მსჯავრი დასდოს. ამისი უტყუარად, შეუცდომლად შესრულება ძნელად თუ ვინმემ შესძლოს და ამისთანა კაციც რომ გამოჩნდეს, იშვიათად, რომ აჩქარებისა გამო შეცდომა და უსამართლობა არსად მოუვიდეს. ან რა საჭიროა ასეთი აჩქარება? სასცენო ნაწარმოები იგივე სალიტერატურო ნაწარმოებია და ყოველთვის შესაძლებელია მისის ღირსების აწონ-დაწონვა, მისის ნაკლისა და შეცდომის აღნუსხვა.

მით უფრო ადვილია შეცდომა აჩქარებით მსჯავრის წარმოთქმის დრო, რომ შესაძლებელია ავტორის მიერ აწერილს ამბავს, აღნიშნულს ხასიათსა და ამ ხასიათის გმირებს არტისტებმა სულ სხვა ელ-ფერი დასდონ, გააკეთონ, გააშალაშინონ, ან წაახდინონ, გაადუხჭირონ, რაც უფრო ხშირია საზოგადოდ,—და მაშინ მსჯავრის გამომთქმელი ქარის წისქვილებს, მოჩვენებულს, ლანდს დაუწყებს ბრძოლას და არა სინამდვილეს. საკვირველია, ღმერთმანი, თუ-კი ავტორს შეუძლიან თვენი და წელიწადნი მოანდომოს თავისის ნაწარმოების შექმნას, მისმა დამფასებელმა, მისმა მსჯავრის-დამდებმა ერთის სცენაზედ დანახვით, ისიც სხვისით გადმოცემულით, რად უნდა გამოსთქვას თავისი აზრი? ასეთს აჩქარებას საბუთი არსადა აქვს და ჩვენ თუ ბოდიშს ვიხდით, მხოლოდ იმიტომ, რომ მაინც და მაინც აქამომდე შეიძლებოდა ამ მატიანეს დაწერა, მაგრამ ჩვენ, მოუცლელობისა თუ სიზარმაცისა გამო—სულ ერთია,—მხოლოდ დღეს მოვახერხეთ.

რა მოეთხოვება დრამას? დრამისათვის, როგორც პოეზიის ყოველ სხვა გვარ ნაწარმოებისათვის, გამორკვეულის კანონების აღნიშვნა შეუძლებელია. შესაძლებელი რომ იყოს დრამის ყოველისავე წესის ანუსხვა, როგორც ხელობისა რისამე, მაშინ ყველა შეიძლებდა დრამების წერას და კერძო, რჩეულ კაცთა ნიჭის ნაყოფი აღარ იქმნებოდა. ძველთა და ახალთ შესანიშნავ კრიტიკოსთ ზოგიერთი წესი ადლად აქვთ წაწინამძღვარებული დრამის ღირსებისა და ნაკლის საზომად.

მაგალითებრ, კრიტიკა თხოულობს, რომ დრამ.ს საგნად ისეთი ამბავი ჰქონდეს აღებული, სადაც ბრძოლაა ვნებათა ღელვისა და მოვალეობისა; დრამაში სრული ერთობა და თანდათანობა იყოს დაცული; მთელი ყურადღება მაყურებელისა უმთავრეს გმირთა ბედ-იღბალსა ჰქონდეს მიქცეული, წვრილმანებს არ გამოეკიდოს ავტორი, ნასკვი ისე გამოინასკვოს და ისე გამოიხსნას, რომ ყოველს შემდეგს მოქმედებას მისი წინასწარი ჰქონდეს მიზეზად და ყოველმა მომქმედმა მხოლოდ ის ჩაიდინოს, ის მოიქმედოს, რაც იმის ბუნებისა და ხასიათის კაცს, იმისთანა ვითარებაში ჩაყენებულს, შეჰფერის და შეესაბამება; ყოველი სცენა აუცილებლად ხელს უნდა უმართავდეს მოძრაობას მოქმედებისას და იგი ნასკვის გამოხსნისაკენ წასწიოს; ამისათვის პიესაში არც ერთი მომქმედი არ უნდა ერიოს ისეთი, რომ პირდაპირ დრამის მონაწილე არ იყოს, არც ერთი ისეთი საუბარი არ იყოს ჩართული, რაც პიესის დედა-არსს არ შეეხება. ვნებათა ღელვა და გულის-თქმა, გულის წუხილი მომქმედთა და იმისი თანდათანი გაძლიერება, სიტყვით ანუსხული-კი არა, საქმით იყოს დასურათებულ-დახასიათებული, ისე რომ ამ ბუნებრივმა თანდათანობამ ვნებათა ღელვისამ მაყურებელი მისდა უნებურად გაიტაცოს, მისის გულიდგან თანაგრძნობა გამოიწვიოს და სხვ. და სხვ. ამას გარდა, კრიტიკა დრამას სხვა-და-სხვა გვარად ანაწილებს: დრამა ვნებათა ღელვისა, დრამა ხასიათისა, დრამა ინტრიგისა და სხ.

წარვიმძღვაროთ წინ აწინდელ კრიტიკის მიერ დრამის ღირსება-ნაკლულევანების გასაზომად გამოთლილი ადლი და ამ თვალთა ხედვის ისარით განვიხილოთ ბ-ნ მეველეს დრამა „ხაფანგი“.

დრამაში აწერილია ახალგაზდა თავადიშვილი ვარდენი, რომელსაც თავისის დროებით ვალდებულის გლეხის ტიმოთეს ქალი ნინო შეუყვარდება და იმის შერთვას მოინდომებს. აი, ეს სურვილი შვილისა შეეჯახება იმის მამის ზაქარიას სურვილს, რომელიც, ჯერ ერთი, უკადრისობადა სთვლის გლეხის გოგო ქალბატონად შეიყვანოს თავისს ოჯახში და, მეორე, უქარწყლებდა თავისი დიდის ხნის ოცნება, რომ ერთად-ერთს შვილს შეძლებულის ოჯახის ქალი შერთოს, ბანკის ვალი გაისტუმროს, ოჯახი ფეხზედ წამოაყენოს. შვილი თავისას არ იშლის, მაგრამ მტკიცე ხასიათის ზაქარიაც ისე ადვილად ვერ დასთმობს ძვირფასს ოცნებას და, რომ ვერა გაუწყვია-რა, ხრიკს მიჰმართავს, ხაფანგს უგებს შვილს.

რა ხაფანგია ეს ხაფანგი? ამ დროს დაპატიმრებულია სოფლის კანცელარიაში ღარიბი აზნაურშვილი სარდიონი, რომელსაც ზაქარიას ტყის მცველი დაუჭერია. ამ სარდიონს ჰყავს ქვრივი და ნინო. მოხერხებული თავადიშვილი ტიმოთეს ბიჭითა და ცხენით ამ ნინოს სარდიონის სანახავად ჰგზავნის ღამე და შვილს-კი არწმუნებს, რომ შენი სატრფო ნინო ცუდის ყოფა-ქცევის ქალია, სარდიონის საყვარელია, ღამ-ღამე იმასთან დადისო. ვარდენს არა სჯერა, მაგრამ ეჭვი-

მართალია, რუსეთში სჩივიან და წუწუნებენ, რომ მამული მცირე აქვს გლეხსაო, მაგრამ ათჯერ მეტი აქვს იქაურ მხვნელ-მთესველს, ვიდრე ჩვენში. ორთა შუა რიცხვით, სულზედ მოდის იქ შვიდი დესეტინა; სტავროპოლის გუბერნიაში სულზე მიზომილია ცხრამეტი დესეტინა, გაცილებით უფრო ბევრი, ვიდრე იმერეთის თავად-აზნაურს აქვს. უფისა და ორენბურგის გუბერნიებში საგლეხო საკრებულოები გადასახლებულთ უმზადებენ მამულს კომლზე არა ნაკლებ ორმოც-სამოცის დესეტინისა. ამ ორს გუბერნიაში ითვლება სულ ათი მილიონი დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში-კი თავად-აზნაურობას მხოლოდ ერთი მილიონი დესეტინა აქვს და კიდეც რომ ჩამოართვა, მაინც არავის არაფერი გახვდება.

ასეთია საქმის ვითარება, ასეთია სიმართლე, მაგრამ ჩვენ უბედურს დროს მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს, თუ სიცოცხლე არ მოჰბეზრებია. ძალად დაბრმავებას მიჩვეულნი ვართ, მაგრამ ისეთს, როგორც ამ დღეებში გაზეთმა „Недѣля“-მ იკადრა, კაი ხანია არ შევხვედრივართ.

მოსკოვში კრება იყო მკურნალთა და ბუნების-მეტყველთა. ამ კრებაზედ ჩვენს კარგად ცნობილს, თანამემამულეს ალექსანდრე სოლომონის ძეს ხახანაშვილს [4]) უთქვამს, რომ კავკასიაში მამული მცირეა და გადასახლება უმამულო ხალხისა დიდად შეავიწროებს იქაურს მკვიდრსაო. გაზეთ „Недѣля“-ს კორესპონდენტს, ვიღაც ბუნების-მეტყველს, გულში ეკალივით მოჰხვედრია ხახანაშვილის მიერ აღიარებული ჭეშმარიტება, თვალი ვერ გაუსწორებია სიმართლისთვის და გაბრაზებული მართლის მთქმელს ებრაელს ეძახის.

4) შვილია გორის საკათედრო სობოროს დეკანოზისა და აი ამას უწოდა გაზეთმა „Недѣля“-მ ურია, ხაიმ სოლომონოვიჩ.

ჩვენ ხელთა გვაქვს უფრო მტკიცე და გადაშრილი ოფიციალური საბუთები, რომ გადმოსახლებულთა სამყოფი მამულები აღარ მოიპოვება ჩვენში, რომ აქაურ მკვიდრსაც აღარა ჰყოფნის ადგილ-მამული, მაგრამ ნათქვამიც საკმაოდ მიგვაჩნია, რომ მკითხველმა გაითვალისწინოს, რა ჯურის მწერალს უნდა ეკუთვნოდეს ზემოდ დასახელებული „ბუნების-მეტყველი“.

ა. ფრონელი

# ახალი ამბავი

⁂ გუშინ-წინ, ოთხშაბათს, 23 თებერვალს, ქართულმა დრამატიულმა დასმა ბ-ნ ვ. ილექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ წარმოადგინა სამ-მოქმედებიანი დრამა „შეშლილია“, «დატრიალდა ჯარა» და დასდგა დივერტისმენტი. უნდა წარმოედგინათ ახალი პიესა «დამნაშავეა», მაგრამ ამ დრამის წარმოდგენა ვერ მოხერხდა. მთელის თეატრის დარბაზი საზოგადოებით სავსე იყო. მებენეფისეს დიდ-ძალი საჩუქრები მიართვეს.

⁂ ნამდვილად შევიტყეთ, რომ მომავალ ნოემბრიდგან გაზ. „კვალის“ სალიტერატურო ნაწილის სრულს გამგებლად ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკი იქნება.

⁂ გუშინ, 24 თებერვალს, სასულიერო სასწავლებელში სალიტერატურო დილა იყო გამართული, ბავშვები მშვენივრად იყვნენ მომზადებულები რუსულად და ქართულად როგორც გალობისა, ისე ლექსების წაკითხვის მხრივ. მასწავლებელმა საძაგლიშვილმა წაიკითხა რუსულად წერილი ქართველ ბერობის დამსახურების შესახებ სამშობლო ეკლესიის და საზოგადოების წინაშე. ზოგიერთმა მოწაფეებმა საჩუქრებიც მიიღეს. ამ დილას დიდ-ძალი ყმაწვილების მშობლები და სხვანი დაესწრნენ.

⁂ ქ. ახალქალაქი (ჯავახეთი): ოც ამ თებერვალს ჩვენის მაზრის უფროსი ბ ნი დიაჩკოვი-ტარასოვი გამოემშვიდობა აქაურობას და სუხუმს წავიდა, სადაც მომრიგებელ შუა კაცის თანამდებობის აღმასრულებლად დაჰნიშნეს. მცხოვრებლებმა გამოსამშვიდებელი სადილი არ გაუკეთეს და არც გაცილებას დაესწრებია ვინმე მოქალაქეთაგანი. სადილი გაუმართეს მხოლოდ აფიცრობამ.

თებერვლის პირველ რიცხვებში აქაც ჩამოჰყარა არშინზედ მეტი თოვლი დიდი ზამთარი დაგვიდგა, მაგრა ეხლა-კი, მეტადრე დღისით კარგად თბილა.

⁂ ქუთაისი: ქუთაისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა შეიძინოს კერძო ბიბლიოთეკა ბ-ნის თხორჟევსკისა, რომელიც აქ მასწავლებლად არის და საკმაოდ კარგი, ვრცელი და კარგად შერჩეული წიგნთ-საცავი აქვს. მის ბიბლიოთეკაში 2277 ტომი ამას გარდა 768 სხვა ჟურნალ-გაზეთია. თხორჟევსკი შედარებით იაფად უთმობს ქალაქს ამ ძვირფასს წიგნთ-საცავს და ფასსაც ნაწილ-ნაწილ ითხოვს. ამ სახით ქუთაისის საქალაქო ბიბლიოთეკის საქმე რიგიანად მიდის და იქნება ორმა და სამმა თვემ აღარც-კი გაიაროს, რომ ბიბლიოთეკამ მუშაობა დაიწყოს. ბიბლიოთეკა გაიმართება ქალაქის საბჭოს ახალს შენობაში. ქალაქის მომავალ ბიბლიოთეკას, როგორც ვიცით, შესწირა საკმაოდ ბლომად წიგნები თ. ანტონ ლორთქიფანიძემ-სულ 1000 წიგნი და გერენშტეინმა—80 ტომი.

ქალაქს აზრადა აქვს, რომ, რაც შეიძლება ბლომად მოიპოვოს ისეთი წიგნებიცა, რომელიც კავკასიას საზოგადოდ და განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანას და მის ავ-კარგს შეეხება.

⁂ ცხინვალი: თებერვლის დამდეგს თბილი დარები იყო, მაგრამ მერე ისევ დაიწყო თოვლა აქეთ მხარეს და დიდი თოვლი დასდო ძრიელ. ღამ-ღამე ჰყინავს. თოვლი ისე დიდია, რომ, კარგი უნდა, მარტის ნახევარში გავიდეს მუშა მინდვრად.

⁂ თამარაშენი (გორის მაზრა): აქ გარდაიცვალა ამ დღეებში კნეინა მაჩაბლისა, დედა განსვენებულის ზურაბისა. ამბობენ, რომ კნეინა 104 წლისა იყო და არც თვალთ აკლდა, არც ყურთაო. შვილის-შვილი დარჩა 60 წელს მიღწეული და, ვგონებ, 104 წლისაზედ მეტი უნდა ყოფილიყოვო. ბევრის მომსწრე და გამგონი ყოფილა განსვენებული და, არ იქნება ურიგო, საზოგადოებამ იცოდეს მისი ნაამბობი ძველის დროების შესახებ.

⁂ ავირი: მშვენიერი და საუცხოვო სოფელია ჩვენი სოფელი, მაგრამ ათასმა ჭირმა და ვაი-ვაგლახმა ლამის ისე დასცეს და გაანიადაგოს, რომ იქნება ბოლოს სულ გაოხრდეს. სახნავ-სათესი მინდორი კარგი იყო და ნაყოფიერი, მაგრამ გვალვებმა მოუსპო ნაყოფიერება. სიმინდი ვეღარ მოდის კარგად. არ იქნებოდა ურიგო, რომ ყვირილიდამ გაეყვანა სოფელს არხი და ეს მინდორი „ხოხოულ“ სარწყავი გაეხადა. ვენახებითა და ღვინოთი იყო განთქმული ჩვენი სოფელი, მაგრამ ამ ჩვენის ცხოვრების წყაროსაც იმავე გვალვებმა მოუღო ბოლო. ხუთის წლის განმავლობაში ზედი-ზედ დაერთო ეს უბედურება, გაჩინა, ნაცარი და მერე „ობი“ მაგრამ წამლობამ, როგორც იყო, არ აბოგინა ეს სნეულება ვაზისა. მაგრამ აგერ ეს სამი წელიწადია, ისეთი საშინელი მტერიც გაუჩნდა, როგორც ფილოქსერაა და ამას-კი ვეღარა მოუხერხეს-რა: არც წამლობამ გაჭრა და აღარც სხვა ღონის ძიებამ. მდის უკან-უკან ვენახები, ხმება თან და თან ეს აურებელი მწვანე წლკოტი და თან მიაქვს ხალხის კეთილ-დღეობის ღონე და სალსარც.

## დამაკვირდი

სიცოცხლე ამაოა ამაოებათა, სოლო იმათთვის-კი, ვინც მარტო ამაოებაში ატარებს დროს.

იუნგი

**

იმედს მაინც ნუ წაართმევ ღარიბსა: იგი მისი პურია არსებითი.

კაბუსი

**

ბატონი იყავ შენის ნებისა და ყმა შენის სინიდისისა.

ეშენბახი

## ნაწყვეტები

ბოლო არა აქვს, კაჰკაჰო,
მაგ შენსა დანახვებსა,
თუმცა გაქებენ ჩხიკვები
და ალხენ ყორან-ყვავებსა;
მოვა ბულბული: ქვეყანას
დაატკბობს, უმკურნალებსა —
და უცბად ხიდ-ქვეშ ჩაჰმარხავს
შენსაებრ მომღერალებსა.

## მარხვა გონებისა

(სადიდ-მარხვო საუბარი)

დადგა კვირიაკე ქადა-ნაზუქის, ხაჭაპურების ცხობისა, როდესაც ადამიანის მადა ლაგამს წაიწყვეტს ხოლმე და ღორ-მუცელობას, მსუნაგობას დიდი ბური და მოედანი აქვს დათმობილი და მუცლისა, რომელსაც, ხალხურის ანდაზით, აქორებ—ქორია, აღორებ—ღორია, ზეიმი და დღესასწაულია.

გაივლის ეს ერთი კვირა, კვირა ჭამა-სმისა, და დადგება ხანა მარხულობისა, ის უწინდელი შვიდ-თავიანი ბუმბერაზი, რომელიც ჩვენს გლეხ-კაცობას ისე ლამაზადა აქვს გამოთქმული ერთ-ტაეპოვან ლექსში:

შვიდად შეკრული
შვიდი ფიცარი,
ვერც მეფე გახსნის,
ვერც მისი ჯარი.

დიაღ, იყო ოდესღაც ნეტარი დრო, როდესაც მეფე და მისი ჯარიც ვერ გახსნიდა ამ შვიდად შეკრულს შვიდს

---

კი შეეპარება გულში, მით უმეტეს, რომ სარდიონს მართლაც ნინო უყვარს და ვარდენსაც შეტყობილი აქვს ეს ამბავი. თავის მეგობარ ნესტორითურთ მიდის იმ ადგილას, სადაც ნინო და სარდიონი უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. მართლაც, ჰნახავს, რომ ვიღაც ქალი ტიმოთეს ცხენითა და ბიჭით მიდის სარდიონთან, სარდიონი გადაეხვევა ამ ქალს, „ნინოს“ ეძახის ალერსიანად, ტიმოთეს (ალბად დარიგებული) ბიჭიც ეუბნება, ტიმოთეს ქალი გახლავთო, ხშირად დადის აქაო. გამძვინვარებული ვარდენი იქავე კიცხვით სავსე წერილსა სწერს თავისს სატრფოს და უგზავნის იმავე ბიჭის ხელით.

აი, ეს ამბავია მოთხრობილი პირველს სამს მოქმედებაში. მერე, რა დაემართა ნინოს? ვარდენმა რაღა ჰქმნა, ამოიგლიჯა გულიდგან ნინოს სიყვარული და შეირთო ზაქარიას მიერ ამორჩეული თავადიშვილის ქალი, თუ ამ სიყვარულს გადაჰყვა? ამის პასუხს ავტორი მეოთხე მოქმედებაში გვაძლევს, რომელიც ორ სცენად არის გაყოფილი. პირველს სცენაში ვარდენი და ნესტორი დუქანში სხედან და აქ ვარდენი ჰლაპარაკობს, ორის თვის განმავლობაში ქალაქში ვლოთობდი, რომ მწუხარება გამექარვებინაო. აქავე შემოდის ვარდენის მტერი სარდიონი, შელაპარაკდებიან ორნი მეტოქენი, მით უმეტეს, რომ ვარდენი სარდიონს სთვლის თავისის უბედურების მიზეზად და სარდიონი—ვარდენს. სარდიონი ხანჯლით ეცემა ვარდენს, ეს უკანასკნელი მოასწრობს და რევოლვერით სასიკვდილოდ დასჭრის. აქ მომაკვდავის სიტყვებიდგან შევიტყობთ, რომ ნინო წერილის მიღების შემდეგ მდინარეში გადავარდნილა, ძლივს გადურჩენიათ ცოცხალ-მკვდარი და ლოგინად არის ჩავარდნილი.

ტიმოთეს სახლში ვართ. ვარდენი მისულა ავადმყოფ სატრფოსთან. აქავე მოდის ზაქარია, რომელსაც შვილის უბედურება შეუტყვია და იმის სანახავად უფრო მოსულა, ვიდრე ავადმყოფისა. მაგრამ ნინო სიხარულს ვეღარ იტანს და ბოლო ელება. ამავე დროს შემოდის ბოქაული და აპატიმრებს ვარდენს სარდიონის მოკვლისათვის.

აი მთელი ბადე, რომელზედაც მოუქარგავს და მოუქსოვია ავტორს თავისი ნაწარმოები. როგორც ჰხედავთ, პიესა ისე სადაა და მარტივი, როგორც თვით ცხოვრება, თითქოს ავტორს რომელიმე ცხოვრების ამბავი აუღია და აუწერია უმეტ-ნაკლებოდ. აქ ვერ შეჰხვდებით ვერც მტკიცე, დიდის ბუნების კაცთა ხასიათს, ვერც შემაძრწუნებელს ბოროტ-მოქმედებას, ადრევე მოფიქრებულსა და განზრახულს. ავტორის მიერ დახატულს უბრალო კაცებს, სარდიონს, ვარდენს, ნინოს, თითქმის ყოველ ნაბიჯზედ ჰნახავთ ჩვენს ცხოვრებაში. ღირსება პიესისა ის არის, რომ პირველ მოქმედებიდგანვე ატყვევებს მაყურებლის გულის ყურს; უცხადებს თუ არა ვარდენი სიყვარულს ნინოს, აშკარადა ჰგრძნობს მაყურებელი, რომ აქ საქმე ისე უბრალოდ არ ჩაივლის და სიყვარულს დიდი დაბრკოლება დაჰხვდება გზაზედაო.

მეორე და მესამე მოქმედება პირდაპირი შედეგია პირველის მოქმედებისა. სრულიად მოსალოდნელია მამის სიბრაზეც და იმ საშინელის ხაფანგის გამოგონებაც, მით უმეტეს, რომ ხაფანგი თითონ, თავისით-კი არ არის საშინელი, არამედ იმ შედეგით, რაც იმას მოსდევს. თავადს ზაქარიას კი რომ მიემართა ასეთის საშუალებისათვის თავისის შვილის მოსაგონებლად, სრულიად სარწმუნოა, რადგან ზაქარიას ფარული მოლოდინი აშკარადა სჩანს: შვილი შეიტყობს, რომ სატრფო ჰღალატობს, გულდგან ამოიყრის იმის სიყვარულს ამ ქალს შეირთავს, რომელსაც მე ურჩევო. ზაქარიას რომ სცოდნოდა, რაც მოჰყვებოდა ამ ხაფანგს, თავის დღეში არ ეცდებოდა ასე მოხერხებით დაგებას.

მეოთხე მოქმედებაში საუცხოოდ არის დახატული შელაპარაკება ვარდენისა და სარდიონისა. ცალკე სცენად აღებული ეს სცენა შეუდარებელია, ცხოვრების ნამდვილი სურათია, თუმცა საერთო პიესის აზრს ის როგორღაც არ ეკოწიწება. საზოგადოდ, ვარდენი მეოთხე მოქმედებაში იმდენად ჰკარგავს თავისს ღირსებას, რამდენადაც პირველს სამში იგი ჩვენს თანაგრძნობას იზიდავს. ეს მოქმედება იმითი იწყება, რომ ვარდენი თავისის ლოთობის ამბავს უამბობს ნესტორს. ეს კიდევ მაგდენ ცოდვად არ ჩაეთვლება სიყვარულით გატაცებულს და სატრფოს მიერ უარ-ყოფილს ყმაწვილს კაცს, რადგან ბევრი ჭკუა დამჯდარი კაციც-კი ხშირად ამ ცრუ საშუალებას მიჰმართავს ხოლმე მწუხარების მოსაოხებლად.

კარგი, მაგრამ არ გვესმის, რად მოაკვლევინა ავტორმა ვარდენს სარდიონი, როდესაც პიესის ნასკვის გამოსახსნელად ეს სრულიად საჭირო არ არის? თუ მარტო იმიტომ, რომ მომაკვდავს სარდიონს ეამბნა ვარდენისათვის ნინოს წყალში გადავარდნის ამბავი, განა ვარდენი სხვაფრივ-კი ვერ შეიტყობდა ამას? თუ იმისთვის დასჭირდა, რომ ვარდენიც დაეპატიმრებინათ ბოლოს კაცის-მკვლელობისათვის და ერთს უბედურებას ესეც ზედ დაჰმატებოდა, თვით პიესისათვის რა საჭიროა ეს? განა ვარდენს ის უბედურება-კი არ ეყოფოდა, ის სინიდისის ქენჯნა, რომ თავისს დიდად საყვარელს ნინოს თითონვე მოუღო ბოლო? როდესაც შეიტყობდა მამის მიერ დაგებულ ხაფანგის ამბავს და მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდებოდა, განა ეს სიმწვავე არა ჰკმაროდა მშობელს მამას სინანულად და შვილს—მწუხარებად? ეს სარდიონის მოკვლის ამბავი ცალკე ეპიზოდია, პიესაში შეტანილი, შემთხვევითი, და პიესის ნასკვიდგან არ მომდინარეობს, მის საჭიროებას საქმეთა ვითარება ჯეროვანად ვერ ასაბუთებს.

ხასიათის მხრივ საუცხოოდ დახასიათებულნი არიან ისევ თავადი ზაქარია, შეძლებული გლეხი ტიმოთე, სარდიონი, თედორე და მარინე, სუსტობენ ვარდენი და ნესტორი, ნინო-კი თავიდგან ბოლომდე სრულიად უფერულია და იგი უფრო საგანია დრამისა, ვიდრე ერთი უწარჩინებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიცარს, რომელიც მას შემდეგ ისე ადვილად გასახსნელი და დასარღვეველი შეიქმნა, რომ უბრალო ქალაჩუნაც-კი არ შეუშინდება იმის გატეხვას.

საზოგადოდ ბევრმა უწინდელმა თავისი აზრი და მნიშვნელობა დაჰკარგა, გამოფიტდა, რადგან დროთა ცვალებადობასთან ხალხმაც იცვალა ზნენი და ჩვეულებანი, ბევრი უწინდელი სიკეთე ბოროტად გადაიქცა, «რამეთუ დავკნინდით და მოგვაკლდა ჩვენ» და „რაც ვიყავით, ის აღარ ვართ“, თუმცა-კი პოეტთან ერთად სასურველია, რაც ვართ, ის აღარ ვიყვნეთ. აი თუნდა ეს დიდ-მარხვა ავიღოთ სასაუბროდ, სართველად, რომელიც ამ სამიოდე დღის შემდეგ წინ აგვეყუდება წარსულის გასახსენებლად და აწინდელის გასათვალისწინებლად.

უწინ დიდ-მარხვა მარხულობა იყო ჯერ სულისა, მერე ხორცისა. ამ ხანს მთელი საქართველო ლოცვა-ვედრებასა და საჭურჭლეთა გაცემას ანდომებდა. ეხლა? ეხლა, თუ სწამს კიდევ იგი ვისმეს, ხორციელადა სწამს, სწამს ისე, რომ ლორის სამწვადეები აღარ იჭმევა, ლობიო ისპანახ-სატაცური სულსაც არგებს და ხორცსაცაო.

მაგრამ ამ მხრით თუ უარ-ვყავით მარხულობა, ბევრმა სხვა მარხვამ იჩინა თავი, ძნელად გასახსნილებელმა, მარხვამ, რომელიც უწინ ასე ცხადად დანახული არ იყო და იქნება მარხვადაც არ მიაჩნდათ,—მაგალითებრ, სიბნელემ გონებისამ, რომელიც ჩვენს ერს გარს სქელ ბურუსად ახვევია და რომელსაც ბევრჯელ შვიდის შეკრულის ფიცრის გახსნა სჭირია, რომ ამ წყვდიადში შუქმა სინათლისამ ჩაატანოს.

უწინ, როდესაც ხმალ-ხანჯლის მარჯვე ხმარება იყო საწყაოდ ადამიანის სიჩაუქისა და ბუმბერაზობისა, ბევრი გმირი გვყავდა, ბევრი ვაჟკაცი ჩვენდა თავ-მოსაწონებლად, ეხლა-კი, როდესაც ახალმა დრომ უარჰყო ეს საწყაო და ხალხის გონებითი განვითარება, განათლება, კულტურა წამოაყენა წინ, მართლა მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ ეს ჭეშმარიტება, რომ „დავკნინდით და მოგვაკლდა ჩვენ“, დავწვრილმანდით, დავქუცმაცდით, თუ ჩვენი კნინობა უფრო თვალსაჩინო შეიქმნა, უფრო ადვილად დასანახავი გახდა, სულ ერთია.

ამიტომ ვიდრე ჩვენი ერი ამ გონების სიბნელეს, ამ გონების დიდ-მარხვას არ დაახწევს თავს, ვიდრე ყოველი ჩვენგანი არ ეცდება ხელი შეუწყოს ხალხის განათლებას და მთელი ერი საერთოდ და თითოეული ქართველი ცალკედ იმდენად გონება-გახსნილი არ იქმნება, რომ გონებით ჰასაკოვანი დაერქვას, თავისის ქვეყნის წარსულიც იცოდეს, აწმყოც და სასურველის მერმისის ნატვრაც ჰქონდეს, მანამდე ჩვენს დამარხვებასთან, რომელიც კარგა ხანია დამდგარი, გახსნილება შორს, ძალიან შორს მანძილზედ არის, უვიცობის ჯაჭვით შეკრულ-შებორკილებულია და არც ისე ადვილად დაიმსხვრევა ეს ჯაჭვი, როგორც „შვიდად შეკრული შვიდი ფიცარი“.

ალფა

## კორესპონდენცია

**ს. კავთისხევი**, 1 თებერვალს. კავთისხევის საზოგადოებაზედ ითვლებოდა სახელმწიფო შეუტანელი გარდასახადი 3,000 მანეთამდე, რომლის ასაკრეფადაც გორის მაზრის უმფროსისაგან იყო დანიშნული ბოხელე თ. ავალიშვილი. სოფლის ამორჩეულთ ამის შესახებ მიართვეს არზა მაზრის უმფროსს და სთხოვდნენ დაენიშნა განსაკუთრებული მოხელე და იმას გაერკვია, მართლა საზოგადოებაზედ ითვლება ზემოხსენებული ნედოიმკა, თუ წინად მამასახლისების ნამყოფებზედ. მაზრის უფროსმა შეიწყნარა თხოვნა სოფლის ამორჩეულ კაცებისა და ამ საქმის გამორკვევა მიანდო თ. ავალიშვილს, რომელმაც საქმე ამ ნაირად გაარკვია ერთს ნამამასახლისარზედ აღმოჩნდა 326 მანეთი და 60 კ., ამავე დროს ხარჯის მკრეფელებს დაედოთ 400 მანეთი; მეორე ნამამასახლისარზედ და მის დროინდელ ხარჯის მკრეფელებზედ აღმოჩნდა 991 მანეთი და 57 კ. დანარჩენი მთელ საზოგადოებას დაედო. ამ ნაირათ ეს ზემოხსენებული ნედოიმკა აიკრიფა და წარდგენილ იქმნა გორის მაზრის ხაზინაში. დღეს კავთისხევის საზოგადოებას აღარა ჰმართებს-რა ხაზინისა. ვისურვებთ, რომ შემდეგისათვისაც ახალმა მამასახლისმა უნდოიმკოთ იყოლიოს კავთისხევის საზოგადოება.

ამ ორის წლის წინად ს. კავთისხევის სკოლის შენობა მოითხოვდა გადაკეთებას: სახურავი აშლილი იყო და წვეთი ჩამოდიოდა, იატაკი შენობისა ძალზედ იყო გაწეწილი, კედლები ჩამონგრეულნი, თვით შენობას შეღებვა უნდოდა; ამასთანავე საჭირო იყო ზოგიერთ სასკოლო ნივთების შეძენა. ამის შესახებ მასწავლებელს ჰქონდა მიწერ-მოწერა დირექციაში და დირექციაც ბ-ნს გორის მაზრის უმფროსსა სთხოვდა ამ საქმისათვის საჭირო განკარგულების მოხდენას. გორის მაზრის უფროსმა რამდენჯერმე უბრძანა კავთისხევის მამასახლისს, დაუყოვნებლივ შეეკეთებინა სკოლის შენობა, მაგრამ არა გამოვიდა-რა. დღემდე სკოლის შენობა უყურადღებოდ იყო დარჩენილი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჰერი კინაღამ თავზედ დაგვაწვა და კინაღამ ხუთ თუმნიანი შენობა დაგვექცა. მაგრამ მადლობა ღმერთს, დრო შეიცვალა. შარშან 23 ნოემბერს ხიდისთავის ბოქაული ბ-ნი დ. დეკანოზიშვილისაგან ხელ-ახლად მოუვიდა მოწერილობა ახალს მამასახლის ი. ჯაჯანაშვილს სკოლის შენობის შეკეთების შესახებ. მამასახლისმა ი. ჯაჯანაშვილმა დაათვალიერა სკოლის შენობა და საჭიროდ სცნო დაუყოვნებლივ გადაკეთებული იყო. მან აღუთქვა მასწავლებელს ამ საქმისათვის ყოველ ნაირი შემწეობა თუ ფულით და თუ სხვაფრივ მასწავლებელმა თვით იკისრა ზედამხედველობა და საქმის წარმოება. დღეს მთლად კავთისხევის სკოლის შენობა ხელ-ახლად შეკეთდა. ჩვენი სკოლა თავისის ფერმით ეხლა კეთილ განწყობილ გერმანულ სკოლას ჰგავს და თვით მტერიც-კი, აღტაცებაში მოჰყავს თავის სიახლით, სილამაზითა და მოხდენილობით.

კავთისხეველი

## კავკასიური საღამო ხარკოვში

(წერილი რუსეთიდამ)

წელს, 9 თებერვალს ქართველთა და სომეხთა სტუდენტებმა პირველად გავმართეთ აქ კავკასიური საღამო. ყოველი ღონისძიება ვიხმარეთ, რომ საღამო ერთ-ფეროვანი არ გამოსულიყო. მომღერლებად მოწვეული გვყავნდა პეტერბურგიდამ ბ-ნი ბალანჩივაძე და მოსკოვიდამ ბ-ნი კოსტანიანი. საღამო გავმართეთ დრამატიულ თეატრში. ფარდული საუცხოვოთ გვქონდა მორთული კავკასიურ გემოზედ; კედლები გაკრული იყო სხვა-და-სხვა ფერის ნოხებით, რომლებზედაც აქი-იქ მიკრული იყო ძველებური ფარ-ხმალი და იარაღი. თვით სცენის დეკორაცია წარმოადგენდა არარატის მთას და თფილისელ კინტოს სავაჭრო დუქანს, რომლის კარებზედაც რუსულად იყო დაწერილი შემდეგი სიტყვები: „Нѣ уезжай, голубчикъ мой.“ წარწერაში შეცდომანი განგებ იყო. ლოდინი სრულად გაგვიმართლდა. საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო, ასე რომ თავისუფალი ადგილი აღარსად მოიპოვებოდა. თვით კონცერტმა უნაკლულოდ ჩაიარა. ბ-ნმა ბალანჩივაძემ იმღერა „შენ გეტრფი მარად“ და „ნანავ შვილო ნანინა.“ ბ-ნმა კოსტანიანმა სომხური სიმღერები «კრუნკ» და „ოტარერკირ“ ორივე მომღერალი ხანგრძლივის ტაშის ცემით იქმნენ დაჯილდოვებულნი. ერთმა აქაურმა მსახიობმა ქალმა წაიკითხა მუხამბაზი გრ. ორბელიანის, „ნუ მასმევ ღვინოს, ულვინოდაც ვარ მთვრალი შენის ეშხით“ თეატრის ორკესტრმა დაუკრა «ბაიათი», თხზულება ბ-ნ ყორღანოვისა. განსაკუთრებული ყურადღება საზოგადოებისა მიიქცია ხორომ, ქართულ-სომხურ ეროვნულ ტანისამოსით მორთულმა და ბ-ნ კოლესნიკოვის ლოტბარობით მომღერალმა; ხორომ იმღერა სომხური სიმღერებიდამ „ლურიკ,“ «დზმერნ-ანცავ,« „ზეითუნის მარში,“ და ქართულიდამ—„კუჩხა ბედნიერი,“ „ფაცხა“ და „ნანავ შვილო, ნანინა.“ ეს უკანასკნელი სიმღერა თვით ბალანჩივაძემ დაასწავლა ხოროს და ისეთი მშვენიერი გამოდგა, რომ საზოგადოების სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა. გამართული იყო ორი ცხოველი სურათი. ერთი თფილისელ სომხების ცხოვრებისა „ორთაჭალის ქეიფი“ და მეორეც ქართულის ისტორიისა—თავ-განწირული სიყვარული მამულისადმი მებაირაღე სამ ძმა ხერხეულიძეთა დედისა, რომელიც თავის ორის შვილის სიკვდილისა და მესამეს სასიკვდილოთ დაჭრის შემდეგ, თითონ სტაცებს ბაირაღს ხელს, რათა მტერმა ხელში არ ჩაიგდოს. თვით შინაარსით მდიდარმა სურათმა, სხვა-და-სხვა ფერის სინათლით განათებულმა აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. თვალწინ წარმოუდგა ფიცხელი ომი და შუაგულ ომში ჩარეული დედაკაცი, რომელსაც თვალ-წინ უძევს მკვდარი და დაჭრილი შვილები; დედას დაჰვიწყებია თავისი შვილები, ორივე ხელით ჩაჰჭიდებია ბაირაღს და ცდილობს გამოსტაცოს მტერს. საზოგადოებას სურდა დამტკბარიყო ხანგრძლივის ცქერით ასეთის სურათისა და ერთხმად ჰყვიროდა: „დიდ-ხანს, დიდ-ხანს გააჩერეთ ფარდა!“ კონცერტს მოჰყვა ცეკვა—ჯერ კინტოური და ლეკური, მერეკი ევროპიული, რომელმაც გასტანა დილის ოთხ საათამდე. ოციოდე ყმაწვილი, ეროვნულ ტანისამოსით მუხლ-მოკეცილი იჯდა სცენაზედ; მათ შორის ერთი დოლის დამკვრელი, ერთი—თარისა, ერთიც—დუდუკისა და მათ შორის ბ. ი. მ—ლი კინტოს ტანისამოსით. კინტოურის მოთამაშე სწო-

---

ლეს მომქმედთაგანი. ჯერ მარტო ისიც აეფურულებს ნინოს, რომ მხოლოდ ორჯელ ვხედავთ რიგიანად, მაშინ, როდესაც ვარდენი სიყვარულს უცხადებს და სიკვდილის ჟამს: მისი გულის პასუხი, მისი ფიქრთა მღელვარება, ოცნება და ნატვრა ჩვენთვის წყვდიადით არის დაფარული.

საზოგადოდ ავტორი თავისს მომქმედთ ნებას არ აძლევს თავიანთი გულის-ნადები მაყურებელთ წინაშე გადმოშალონ. პიესას რაღაცა აჩქარება ეტყობა. მაგ., მეორე მოქმედების უკანასკნელს სცენაში, როდესაც სურვილი შვილისა და მამისა ერთმანეთს შეეჯახება, ზაქარიას, შვილთან ლაპარაკის დროს, ისე უცბად, ისე სწრაფად მოსდის ფიქრი ხაფანგის დაგებისა, რომ ეს სისწრაფე სწორედ აოცებს მაყურებელს. შეუძლებელია, რომ ასეთი მოხერხებული აზრი ხანგრძლივ უფიქრელად მოსვლოდა ზაქარიას, მეტადრე შვილთან შელაპარაკებისა და გაანჩხლების დროს.

პიესა მშვენიერის, მდაბიურის ქართულით არის დაწერილი, მკითხველის გულის-ყურს, როგორც ვსთქვით, პირველ სურათიდგანვე იზიდავს და იპყრობს და თვით საგანიც, წოდებრივის შეხების აზრისა და შეხედულობის სხვა-და-სხვაობა მამასა და შვილს შორის, იმდენად საინტერესოა, რომ, ბოლომდე სიამოვნებით ისმენს მსმენელიო.

სამწუხაროდ, ჩვენმა არტისტებმა ისე დუხჭირად ჩაატარეს ეს პიესა პირველ წარმოდგენის დროს, რომ ყოველი მისი ღირსება ჩაფუჩჩდა და ნაკლმა-კი ერთი ასად უფრო გაზვიადებით იჩინა თავი. ვერც ერთს წარმომდგენელს ვერ შეეგნო მომქმედთა ხასიათი და პიესა-კი ისე იყო მომართულ-მოწყობილი, რომ უარესი ძნელად-ღა მოსალოდნელია. პირველს მოქმედებაში ვარდენი ცოცხალს ხოხობსა სთავაზობს ნინოს, რაც ემბლემაა სიყვარულისა ხალხის აზრით. ჩვენს სცენაზედ-კი, ხოხობის მაგიერად, დიდის ხნის მკვდარი ქორი გამოიტანეს, რომელსაც ბურტყლები სცვიოდა,—რამაც მხოლოდ უალაგო სიცილი გამოიწვია. ამას გარდა, რეჟისორს ბოქაულის როლი ისეთის არტისტისათვის მიენდო, რომ იმისი ბოქაულის ტანსაცმელით გამოსვლა, ხმის ამოღება და საერთო სიცილი ერთი იყო. ეს სცენა კი (დასასრული), როდესაც ცალს მხარეს ნინო ჰლევს სულსა, ზედ ვარდენი დაჰქვითინებს, ტიმოთე და მარინე იცრემლებიან და ზაქარია ყოველ წუთს ელის შვილის დაპატიმრებას, იმდენად დრამატიულია, რომ რეჟისორი დიდის სიფრთხილით უნდა მოჰქცეოდა ყოველს წვრილმანს, რათა შეუსაბამო არტისტის სცენაზედ გამოყვანით დრამა კომედიად არ გადიქცია.

ახლა გადავავლოთ თვალი, როგორ მიეგებნენ ამ დრამას ადგილობრივი გაზეთები. არას ვიტყვით გაზ. „Кавказъ“-ისა და „Тифл. Лист.“-ის შენიშვნების შესახებ, რადგან ესენი ისე უცნაურად მოჰკიდებიან პიესას, რომ პირველის გაზეთის რეცენზენტი სწერს: პიესა ხუთ-მოქმედებიანია და მეხუთე მოქმედება ორ სურათად არისო. იმდენი გულის-ყური ვერ მიუდევნებია, დაენახა, რომ პიესა ოთხ-მოქმედებიანია და არა ხუთიანი. მეორე გაზეთის შენიშვნა-კი უფრო უბრალო რახა რუხია სიტყვებისა, უაზრო, საბუთს მოკლებული, ვიდრე სამართლიანი მსჯავრი ცოდნით აღჭურვილის თეატრის მემანისა.

უფრო საყურადღებოა შენიშვნა გაზ. „Новое Обоз.“-სა და წერილი გაზ. „კვალისა“, გ. წერეთლის მიერ დაწერილი. გაზ. „Нов. Обоз.“ ამბობს, რომ პიესა მელოდრამაა და ამაში ჰხედავს უმთავრესად იმის წუნს, თუმცა არ ასაბუთებს თავისს აზრს. უცნაური კიდევ ერთი გარემოებაა: რუსული გაზეთები ამბობენ, რომ არტისტებს არა უჭირდათ-რა, „Новое Обоз.“ აქებს კიდეც და უწონებს თამაშს, „კვალი“-კი ჩვენის აზრისაა და სწერს, რომ „მსახიობებმა თავისს უხერხო თამაშობით ბევრად შეამცირეს დრამის შთაბეჭდილებაო“. რომელი სტყუის და რომელი მართალსა სწერს, ამისი გამოცნობა თვით იმ წარმოდგენაზედ დამსწრეთათვის მიგვინდვია, ჩვენ-კი ისევ ბ-ნ გ. წერეთლის წერილს დავუბრუნდებით.

ბ-ნი გ. წერეთელი ჰბრძანებს:

„თავ-გასულს თავადიშვილს... მოწონებია თავის ნაყმევის ქალი და უნდა ცოლად შეირთოს. ნუ თუ ეს წარმოსადგენია?.. ასეთი მოსაზრება მხოლოდ მწერალთა გულის წადილის ნაყოფია და არა ნამდვილი ცხოვრების სურათი. ამას ჰქვია ტენდენცია“...

ჯერ ერთი, არ გვესმის, რად უწოდებს ბ-ნი წერეთელი თავადს ვარდენს „თავ-გასულს“? რითი გამოიჩინა მან თავისი თავ-გასულობა? ნუ თუ მარტო იმითი, რომ ხოხბებზედ ჰნადირობს და გლეხის ქალის, გაუპატიურება-კი არა, ცოლად შერთვა მოიწადინა? ეს ხომ, თავ-გასულობა-კი არა, თავის დამდაბლებაა, როგორც ესა სჩანს თვით ბ-ნ წერეთლის სიტყვისაგანაც. მაშ ეს „თავ-გასულობა“ რაღაზედ დაანათლა ბ-ნმა კრიტიკოსმა? მეორე,—ვითომ რატომ არ არის შესაძლებელი, რომ თავადიშვილს გლეხის ქალის შერთვა მოენდომებინოს? ჯერ ძველადაც-კი ჩვენში მაგალითი ყოფილა, რომ მეფეს მარტო სილამაზის გულისათვის უბრალო აზნაურშვილის ქალი შეურთავს, და ეხლა-კი, როდესაც ახალმა დრომ სამართლიანად გაათანასწორა თავადი და გლეხი, რატომ არ უნდა იყოს შესაძლებელი თავადიშვილის მიერ გლეხის ქალის შერთვა? განა ცოტა მაგალითია ჩვენს ცხოვრებაში ამისი?..

მაგრამ დავუჯეროთ ბ-ნს გ. წერეთელს და დავეთანხმოთ, რომ ჯერ ასეთი მაგალითი არ მომხდარიყოს. მერე რა არის აქ შეუძლებელი? შესანიშნავი დრამატურგი ლესსინგი ამბობს, რომ შინაარსი დრამისა შესაძლებლობის საზღვარს არ უნდა გადაიოდესო, და ჩვენში განა შეუძლებელია, ეხლა, ამ ჟამად მაინც, რომ თავადიშვილმა გლეხის ქალი შეირთოს?

ბ-ნი გ. წერეთელი ამას „შეუძლებლადა“ ჰხადის და რომ დაასაბუთოს როგორმე, შემდეგს უცნაურს საშუალებას მიჰმართავს:

„იქნება ვინმე მიპასუხოს, რა-კი ვარ-

რედ სასიამოვნო სურათს წარმოადგენდა. საზოგადოების თხოვნით კინტური იქმნა განმეორებული. ლეკურის სმთამაშოდ გამოვიდნენ ქ. ბ. *** და იგივე ი. მ—ლი. ქ. ბ. *** პირველად თამაშობდა ლეკურს. რასაკვირველია მის თამაშობას არ ჰქონდა ის სინაზე, სინარნარე და მოხდენილობა, რომელიც ამკობს კავკასიის ასულთა, მაგრამ საზოგადოდ ლამაზად ითამაშა. კოტილიონის დროს ლეკური კიდევ ითამაშეს. ამ ნაირად კავკასიურმა საღამომ ფრიად სასიამოვნოდ ჩაიარა და საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

სტუდენტი პ. კიკალიშვილი

ქ. ხარკოვი

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** 12 თებერვალს დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ გაუგზავნა სევასტოპოლის ომში დამსწრეთა სახელით მარშალ კანრობერს, რომელიც აგრედვე მონაწილე იყო ყირიმის ომში, შემდეგი მილოცვის დეპეშა:

40 დამცველნი და მე ყოველწლივ შევიკრიბებით ხოლმე, ძმურად ვსადილობთ და ვდღესასწაულობთ სევასტოპოლის გმირულად დაცვის ხსოვნას. თვალ-ყურს ვადევნებდით დიდებულ დახვედრას, რომელიც აღმოუჩინა საფრანგეთმა ჩვენს მეზღვაურთ; გულს ღრმად დაგვაჩნდა თანაგრძნობის სიტყვები, წარმოთქმული თქვენის ერის ყველა წოდებათა მიერ; ამასთანავე არც ის თქვენგან გულითა და სულით თქმული თანაგრძნობის სიტყვები დაგვავიწყდება, როცა ისე გიკვირდათ ვაჟკაცობა და გმირობა ჩვენის მხედრობისა. 40 წელიწადია მას აქეთ, რაც პატივსა ვცემთ, მარშალო, როგორც თქვენს გმირობას, ისე ჩვენს ქველობით მოსილ მოპირისპირეთ, განთქმულთ ვაჟკაცობითა და შეურყეველის შეუმდრკალობით, საფრანგეთის მხედრობასა და ფლოტს. აწცა, ვიგონებთ-რა სისხლის ნალებს, უმაგალითო დაცვას ციხისას 349 დღის განმავლობაში, გულნი გვევსება თქვენთა და ჩვენთა გმირთა, მაშინ თავ-დადებულთა, სიყვარულითა და მათ წინაშე, აგრედვე წინაშე ახლა-ხანს გარდაცვალებულ მარშალ მაკ-მაჰონისა გაკვირვებულნი და გაოცებულნი ვამბობთ სადღეგრძელოს: „გაუმარჯოს გულადს საფრანგეთის მხედრობას, გაუმხრჯოს მარშალ კანრობერსაო. ურა!"

პასუხად მის უმაღლესობას მოუვიდა პარიზიდამ შემდეგი დეპეშა:

„დიდად გამახარა თქვენის უმაღლესობის მიერ გამოგზავნილმა მოწყალე დეპეშამ სახსოვრად გულად რუსთა და ფრანგთა მეომართა და მეზღვაურთა, რომელთა სახელიც, მოხვეჭილი სევასტოპოლთან ჯერ კიდევ დიდხანს იქუხებს დედამიწის ზურგზედ; დეპეშა, გამოგზავნილი აგრედვე სახსოვრად რუს-ფრანგთა გულითადის დღესასწაულებათა, სახსოვრად თქვენ მიერ წარმოთქმულის სადღეგრძელოსი საფრანგეთის მხედრობისა და ფლოტისათვის, სახსოვრად განსვენებულ მაკ-მაჰონისა და აღმოსავლეთის ჯარის მთავარ-სარდლად ნამყოფისა. გთხოვთ, თქვენო უმაღლესობავ, მიიღოთ ჩემი მოწიწებით აღსავსე მადლობა. ამა მადლობას დავსძენ ჩემს გულ-წრფელს სურვილს დღეგრძელობისათვის მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისა, თქვენის იმპერატორებითის უმაღლესობისა და რუსეთის მხედრობისა და ფლოტისა.

„მარშალი კანრობერი".

## გასართობი

როდესაც კარდინალი რეშელიე, გაიგონებდა ხოლმე ვისსამე საერთო კიცხვა-გინებას, ამბობდა:

— გამოიცანით ის კაცი, უეჭველია ღირსება არ ექნება, მოკლებული რომ აგრე ჰკიცხავთ ყველანიო.

**

ახალგაზდა ღარიბი, მაგრამ ფრიად სათნოიანი ქალი მივიდა ერთის პრეზიდენტის ცოლთან მფარველობის სათხოვნელად. პრეზიდენტის ცოლს იმ დროს სტუმრები ჰყავდა და იმათთან ლაპარაკში იყო გართული. პრეზიდენტის ცოლმა ჯერ ჰკითხა:

— რამდენი შვილი გყავთ, ქალბატონო?

— სამი, ჩემო ბატონო.

მერე დაავიწყდა, ლაპარაკში გაერთო და ისევ შეეკითხა:

— შვილი ბევრი გყავთ?

— მას შემდეგ, რაც მოგახსენეთ, რომ სამი შვილი მყავს-მეთქი, მეოთხე აღარ მომცემიაო.

**

— რამდენის ხნით იქნებით თქვენს დაზედ უფროსიო? ჰკითხეს ერთს კოპწია ქალს, რომელიც სამოც წლამდე იყო მიხწეული, მაგრამ მაინც კოხტაობა უყვარდა.

— მაგდენით არაფრით, ბევრი-ბევრი, ორის, სამის თვით ვიყო უფროსიო, უპასუხა ამ ქალმა.

**

ერთი ფრიად მახინჯი და დუხჭირი ქალი მეტად კეკლუცი იყო. მისმა გულითადმა მეგობარმაც-კი ვერ ათქმევინა, რომ სახეში ნაკლულევანება მაქვსო. ერთხელ ამ ქალს გული მისდიოდა და წამოიძახა:

— ცუდადა ვგრძნობ ჩემს თავსაო...

— მადლობა ღმერთსაო, წამოიძახა იქავე მყოფმა მისმა მეგობარმა: ძლივს არ იგრძნო თავისი სიცუდე!

## გამოსადეგი ცნობა

უბრალო საშუალება გაქონიანებულის ხელის დასაბანად. ვინც ქარხნებში მუშაობენ, ან სხვა ადგილებში, სადაც საღებავი წამლები კეთდება ანუ იხმარება, ყველამ იცის რა ძნელია ამ საღებავ წამალსა და ქონში გათხუპნულ ხელის დაბანვა. საუკეთესო საშუალება ამისათვის ვაზელინია; გასვრილ ხელებზედ კარგად უნდა წაისოთ ვაზელინი და მერე დაიბანოთ საპნით ცხელ წყალში, საპონი თუ გლიცერინისა იქნება უკეთესია. რაც უნდა მალიან გქონდეთ გათხუპნული ხელები, მაშინვე ამოიყვანს და ჩამოჰბანს.

---

დენი მაღალი განათლების პატრონი იყოვო, მასში (ვარდენში?) წოდებრივი ამაოდმორწმუნება არ იქნებოდაო. მერე სად ვხედავთ დრამაში მაღალ განათლების კაცს?..."

ჰკითხულობს ბ-ნი „კვალის" კრიტიკოსი და იქავე უარ ჰყოფს ვარდენის მაღალ განათლებულობას. მერე ვინ მოახსენა, ვარდენი დიდად განათლებულიაო? ეს ხომ თითონვე აიკვიატა, რომ მედგარი ბრძოლა გაეწია თავისისავე აზრისათვის და გაეფუქსავატებინა იგი. ვარდენი არც დიდად განათლებულია და არც ზეგარდმო მადლით ცხებული, უბრალო მომაკვდავია, ახალგაზდა კაცი, რომელიც ქალის პატიოსნებას აფასებს, ვინც და რა წოდებისაც უნდა იყოს ის ქალი? თავადიშვილმა გლეხის ქალის შერთვა მოიწადინა და ეს-კი, გ. წერეთელს რომ ჰკითხოთ, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ დიდად განათლებულიაო. საკვირველია, ღმერთმანი! უყვარდა და იმიტომ მოიწადინა იმისი შერთვა. აქ „მაღალი განათლება" რა შუაშია? განა პატიოსნად მოქცევა მხოლოდ განათლებულებს შეუძლიანთ? განა გლეხობა, მხოლოდ იმიტომ რომ გაუნათლებელია, უპატიოსნოა? ამაზედ ახირებული მსჯელობა-ლა გაგონილა!..

ჩაჰყევით შემდეგ და დარწმუნდებით, რომ ბ-ნს გ. წერეთელს ბევრი ადგილი დრამისა სულ ვერ გაუგია და თავისებურად განუმარტავს, რომელიც, ეს თავისივე განმარტება, თითონვე არ მოსწონს. მაგალითებრ, ავტორს უკიჟინებს, თავადი ზაქარია უკანასკნელს მოქმედებაში რად მიდის ტიმოთეს სახლშიო.

„გაშმაგებული მებატონე, რომელიც გადაწვას და გადაბუგვას ემუქრება თავის გლეხს და ერთად ერთ შვილს უკლავს, ნუ თუ ასე გაგულმობიერდა, რომ შემდეგ თავის ნაყმევის ოჯახში შედის და ჰსურს მისი (ვისი?) ღირსების შემაგინებელი ნაყმევი ანუგეშოს და მწუხარებაში მონაწილე გაუხდეს?"

ბ-ნს წერეთელს დაჰვიწყებია, რომ თ. ზაქარია ტიმოთესთან იმის სანუგეშებლად-კი არ მიდის, არამედ შეუტყვია თავისის საყვარელის შვილის უბედურების ამბავი, გაუგია, ვარდენი ტიმოთესთან წასულაო, და ამიტომ მისულა, ჰსურს დარწმუნდეს, ეშველება რამე, თუ არაო. განა ამას აშკარად არ ამტკიცებს იმისი სიტყვები: «ტიმოთე, შენც მამა ხარ და მეცა... თუ შენ გეკარგება შვილი, არც მე ვარ უკეთესს დღეში»... ამაზედ მეტი მიზეზი-ლაა საჭირო იმის ტიმოთესთან მისვლისა, როდესაც იმის ერთად-ერთს შვილს კაცი შემოჰკვდომია და სულით-ხორციანად შეიძლება დაიღუპოს?..

ბევრი ამისთანა უცნაური აზრი აქვს გამოთქმული ბ-ნს გ. წერეთელს, მაგრამ ისიც კმარა, რაც გაკვრით აღვნიშნეთ; ჩვენ გ. წერეთლის პასუხს არა ვწერთ, რომ დაწვრილებით შევუდგეთ იმის „კრიტიკის" გარჩევას. აქავე აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბ-ნი წერეთელი ენასაც-კი უწუნებს პიესის ავტორს, რომლის ენა, ამ პიესაში მაინც, მართლაც რომ წუნი არ დაედება. ბ-ნს წერეთელს რომ ჰკითხოთ „ეხლა"-კი არა, „ალა" უნდაო, „გეთაყვა"-ს მაგივრად „გეთაყვანე", „შეიშვნევს" არ მოსწონს, „შეიშნობს"-ო, „შეძლიან" არ ვარგა, „შეუძლია" უნდაო?

რატომაო? ამისას-კი აღარას ამბობს ბ-ნი გ. წერეთელი, ეს მხოლოდ „კვალის" კრიტიკოსმა და ალაჰმა უწყის!..

მანოელძე

# დეპეშა

23 თებერვალი

**პეტერბურგი.** გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა ნება მიეცეთ მგზავრთ დადგნენ ხოლმე იმ სადგურის შენობის ოთახებში, საცა რკინის გზები ორადა და სამად იყრება.

პეტერბურგში დაწესდა მუდმივი კომიტეტი წყალ-მდინარეთა საქმის გამო კრებათა დასაარსებლად.

**ბერლინი.** დელეგატების კომისიაში ტილმანმა სთქვა: ხანგრძლივი ვადა ხელ-შეკრულობისა იმით აიხსნება, რომ გერმანია ენდობა რუსეთსაო. კომისიის კრებანი ხვალ გათავდება; ხუთშაბათს პალატა დაიწყებს ხელ-შეკრულობის ხელ-მეორედ კითხვას. მეტად გამწვავდა უთანხმოება კაპრივისა და პრუსიის მინისტრ მიკელს შორის; ხმა კვლავ დადის, რომ მიკელი სამსახურიდან გადადგომას აპირებსო.

**ვენა.** ვენისა და ბუდაპეშტის სამეურნეო კომისიებმა მოიწონეს დღეს კანონ-პროექტი იმისი, რომ დროებით დაწესდეს სავაჭრო ურთიერთობის რიგი ავსტრი-უნგრეთსა და რუსეთს შორის. კანონ-პროექტის განხილვას ამ კვირიავე დაიწყებენ ორსავე პარლამენტში.

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ფოტინე გიორგის ასულს წულაძისას და ლუკა ნიკოლოზის ძეს წულაძეს, რომელთაგან პირველმა შემოსწირა „გურიის სახალხო წიგნთ-საცავს" 3 მ. და მეორემ—2 მ.

გამგე წიგნთ-საცავისა ჯამულეთი ბაქუნაიშვილი

1894 წ. თებერვლის 22

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაშეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

კ. ი. ფრანცუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## თესლეულობით ვაჭრობა

ბ. გ. ლარმესი

მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.

მ ი ვ ი ღ ე

**ახალი თესლეულობა**

ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.

კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. (15—3)

**მიხეილ საბას-ძე და ანნა საბას ასული ცისკარაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა დედისა თვისისა **მართა სვიმონის ასულის ცისკარაშვილისა**, გარდაიცვალა 24 თებერვალს სოფ. ცხინვალში (გორის მაზრა). დასაფლავებულ იქმნება იქვე 28 თებერვალს. (1—1)

# გაფრთხილება.

დიდი მოთხოვნილება და განთქმული სახელი ჩვენგან შედგენილის:

ყვავილების ო-დე-კოლონისა,

გლიცერინის საპონისა სახეებით,

გლიცერინის პუდრისა,

ექსტრაქტისა სპარსულ იასამნის და რეზედის ყვავილებისაგან,

საუკეთესო კოლოფები და სხ.

აიძულებს ჩვენს კონკურენტებს **მოგვბაძონ** ჩვენ არა მარტო ჩვენი საქონლის ჩვენგან დარქმეულ სახელებით, თვით გარეგნულის მორთულობითაც, რომ ამით შეაცდინონ საზოგადოება და გაავრცელონ თავიანთ საქონლის გასყიდვა, რის გამოც ვსთხოვთ პატივცემულთ მონასყიდეთ, როდესაც ჩვენს საქონელს ყიდულობენ, მიაქციონ ყურადღება ჩვენს ფირმას და ქარხნის მარკას.

БиКᵃ БиКᵃ БРОКАРЪ и Кᵒ ВЪ МОСКВѢ. ФАБРИЧН. ШТЕМПЕЛЬ УТВЕРЖД. ПРАВИТЕЛ. 1864 г. 1864 г.

**ბროკარი და კ°.**

(8—7)